საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება №--

20-- წლის --- ----- **№--** საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დამატებითი ხელშეკრულება

ქ. ---------- ---- ---------- 20 -- წელი

ერთი მხრივ, **სააქციო საზოგადოება „ხალიკ ბანკი საქართველო“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205236537,** იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N74, შემდგომში - **„ბანკი“**; საქართველოს ეროვნულ ბანკში ლიცენზირების ფორმა - კომერციული ბანკი; საზედამხედველო ორგანო - საქართველოს ეროვნული ბანკი; მისამართი: სანაპიროს ქ. N2, თბილისი, საქართველო), წარმოდგენილი სახელი გვარი (პ/ნ 00000000000) სახით და

მეორე მხრივ, -------- (ს/ნ --------, მისამართი: ----------) (შემდგომში **„კლიენტი“/„მსესხებელი“)** მხარეთა შორის დადებული **20-- წლის ---- ------- №---** საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში **„ძირითადი ხელშეკრულება“)** საფუძველზე ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულების საგანია ბანკის მიერ მსესხებლისათვის განუახლებადი საკრედიტო ხაზის (შემდგომში - **„საკრედიტო ხაზი“**), გახსნა, რომლის ფარგლებშიც ბანკი მსესხებელზე გასცემს სასყიდლიან საბანკო კრედიტებს (შემდგომში - **„კრედიტი“**) სესხის ფორმით საერთო თანხით, რომელიც არ აღემატება საკრედიტო ხაზის ლიმიტს.

1.2. საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობები განისაზღვრება ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით.

2. საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობები

2.1. ძირითადი ხელშეკრულება: **20-- წლის --- -----** საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება **№--**

2.2. საკრედიტო ხაზის ლიმიტი: -------- (--------) **ევრო**

2.3. გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა: -------- **ევრო**

2.4. საკრედიტო ხაზის ვადა: --------

2.5. საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების მოქმედების ვადა: --------

2.6. საკრედიტო ხაზის მიზნობრიობა: --------

2.7. საკრედიტო ხაზის/კრედიტის ტიპი: --------

2.8. საკრედიტო ხაზის ლიმიტის ფარგლებში თანხებზე წვდომის პერიოდი (დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მსესხებელს შეუძლია აითვისოს თანხები საკრედიტო ხაზიდან) : --------

2.9. კრედიტის დასაფარად ყოველთვიური შენატანების ოდენობა, შენატანების საერთო რაოდენობა და შენატანების განხორციელების მაქსიმალური ვადა: კრედიტზე თანდართული გრაფიკის მიხედვით.

2.10. საკრედიტო ხაზის/კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ინდექსირებული.

2.11. კრედიტის წლიური საპროცენტო სარგებლის განაკვეთი: **-- (--) % (--%**-ს **დამატებული** ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის განსაზღვრული **EURIBOR-ის (European Interbank Offered Rate) 6 (ექვს) თვიანი** განაკვეთი). კრედიტის წლიური საპროცენტო სარგებლის განაკვეთი შეიცვლება (შემცირდება ან გაიზრდება) თვეში ერთხელ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შეიცვლება EURIBOR-ის 6 (ექვს) თვიანი განაკვეთი. შეცვლილი განაკვეთის დარიცხვა განხორციელდება ცალმხრივად ყოველი კალენდარული თვის პირველი რიცხვიდან წინა თვის 28 რიცხვში დადგენილი EURIBOR-ის 6 (ექვს) თვიანი განაკვეთის გათვალისწინებით. ბანკი უფლებამოსილია აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს კლიენტს.

EURIBOR (European Interbank Offered Rate) განაკვეთი არის ბანკთაშორის სესხებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი ევროში, რომელიც განისაზღვრება ევროპის საბანკო ფედერაციის მხარდაჭერით და იგი არის განახლებადი (ცვალებადი) განაკვეთი.

EURIBOR-ის განაკვეთის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ ვებ-გვერდზე: https://www.euribor-rates.eu/

კრედიტის წლიური საპროცენტო სარგებლის განაკვეთი ფორმირებულია შემდეგნაირად: EURIBOR-ის 6 (ექვს) თვიან განაკვეთს დამატებული დანამატი საპროცენტო განაკვეთი.

დანამატი საპროცენტო განაკვეთი არის ბანკის მიერ განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც შეიძლება შეიცვალოს (გაიზარდოს ან შემცირდეს) ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით ან/და საქართველოს საკრედიტო ბაზარზე არსებული საპროცენტო სარგებლის განაკვეთების ცვლილებით. ბანკი უფლებამოსილია დანამატი საპროცენტო განაკვეთის ცვლილების (გაზრდის) შემთხვევაში შესაბამისი საპროცენტო განაკვეთის სხვაობის დარიცხვა განახორციელოს

ცალმხრივად. აღნიშნულის შესახებ ბანკმა კლიენტს უნდა აცნობოს ორი თვით ადრე შეტყობინების ფორმით. სხვაობის დარიცხვა მოხდება შეტყობინებიდან ორი თვის შემდეგ.
მიუხედავად EURIBOR-ის 6 (ექვს) თვიანი განაკვეთის ოდენობისა 2.11. პუნქტით განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთის მინიმალური ზღვარი არ იქნება -- **(--)%-ზე** ნაკლები, ხოლო მაქსიმალური ზღვარი არ გადააჭარბებს -- **(--)%-ს.**
2.12. წლიური ეფექტური საპროცენტო სარგებლის განაკვეთი: -- **(--) %**. (საკრედიტო ლიმიტის ეფექტური საპროცენტო სარგებლის განაკვეთის გამოთვლაში გათვალისწინებულია ის დაშვება, რომ საკრედიტო ხაზის ლიმიტის ათვისება მოხდება ერთიანად და ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი EURIBOR-ის 6 (ექვს) თვიანი განაკვეთის ოდენობა უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში)
2.13. EURIBOR-ის 6 (ექვს) თვიანი განაკვეთის ოდენობის შესაძლო 3%-ული პუნქტით წლის განმავლობაში ზრდის შემთხვევაში გაანგარიშებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: -- **%**
2.14. ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გაუფასურების შემთხვევაში კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: -- **%**
2.15. კრედიტის/ების გაცემასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები: (ხარჯები რომლებიც გამოყენებული იქნა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში):
-
-
2.16. პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის: ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული თანხის **--%,** არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის **0.27%,** თანახმად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნისა.
2.17. ვადაზე ადრე დაფარვის პირგასამტეხლო მსესხებლის სახსრებით დაფარვისას ან/და რეფინანსირებისას (სხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან):
- თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია **6 თვეზე მეტი,** გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის **-%.**
კრედიტზე დარიცხული პროცენტის გადახდაზე საშეღავათო პერიოდის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის დროს იფარება კრედიტის გაცემის დღიდან მასზე დარიცხული და გადაუხდელი საპროცენტო სარგებელი, ძირითადი თანხა (მთლიანად ან ნაწილობრივ) და პირგასამტეხლოები.
2.18. [პირგასამტეხლო კრედიტის არამიზნობრივი გამოყენების და/ან მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამატებითი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში: კრედიტის არამიზნობრივი გამოყენების გამოვლენის და/ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამატებითი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს ცალმხრივად გაზარდოს წლიური საპროცენტო სარგებლის განაკვეთი --**%**-ით.]
2.19. საკომისიო კრედიტის გაცემისათვის: -- **(--) %** ყოველი გაცემული კრედიტის თანხის.
2.20. საკომისიო კრედიტის/დაკრედიტების პირობების ცვლილებისათვის (უზრუნველყოფის საგნის შეცვლა, კრედიტის პროლონგაცია, საპროცენტო განაკვეთის შეცვლა): -- **(--) %** კრედიტის დარჩენილი ძირითადი თანხის.
2.21. [დამატებითი პირობები:]

3. სხვა პირობები
3.1. მსესხებლის მიერ საკრედიტო ხაზის ლიმიტის ათვისება მოხდება ბანკსა და მსესხებელს შორის დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულების/ების საფუძველზე, რისთვისაც მსესხებელმა ბანკს უნდა მიმართოს წერილობითი განაცხადით.
3.2. ამ ხელშეკრულების საფუძველზე დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულების/ების მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადას.
3.3. ეს ხელშეკრულება, ასევე ამ ხელშეკრულების საფუძველზე დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულება/ები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული ბანკსა და მსესხებელს შორის დადებული ძირითადი ხელშეკრულების დამატებით ხელშეკრულებას და განუყოფელ ნაწილს, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ხელშეკრულებაზე, ასევე ამ ხელშეკრულების საფუძველზე დადებულ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაზე/ებზე სრულად ვრცელდება ძირითადი ხელშეკრულების მოქმედება. ყველა საკითხი, რაც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, ასევე ამ ხელშეკრულების საფუძველზე დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებით წესრიგდება ძირითადი ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით ამ ხელშეკრულებისათვის, ასევე ამ ხელშეკრულების საფუძველზე დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებისათვის გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა განსაზღვრულია ძირითადი ხელშეკრულებით.

3.4. ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის, მსესხებლის მიერ ძირითადი ხელშეკრულებით და მის ფარგლებში დადებული დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებები უზრუნველყოფილია **[იპოთეკა] [გირავნობა] [თავდებობა] [დაზღვევა]**

3.5. ეს ხელშეკრულება ძალაში შევა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და იმოქმედებს ბანკის წინაშე მსესხებლის ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

3.6. ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2(ორ) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ბანკს, ერთი გადაეცა კლიენტს.

ინფორმაცია მხარეთა შესახებ:

ბანკი	**კლიენტი**
სს „ხალიკ ბანკი საქართველო“	----------
ს/კ 205236537	ს/ნ ----------
საქართველო, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №74	მისამართი: ----------
ტელ: (+995 32) 2 24 07 07	ელ. ფოსტის მისამართი: ----------
	ტელ:----------
_____	_____

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება №---

20-- წლის -- ----- №-- საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებისა და **20-- წლის -- ---- №--** საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დამატებითი ხელშეკრულება

ქ. -------- -- ------ 20-- წელი

ერთი მხრივ, **სააქციო საზოგადოება „ხალიკ ბანკი საქართველო“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205236537,** იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N74, შემდგომში - **„ბანკი“**; საქართველოს ეროვნულ ბანკში ლიცენზირების ფორმა - კომერციული ბანკი; საზედამხედველო ორგანო - საქართველოს ეროვნული ბანკი; მისამართი: სანაპიროს ქ. N2, თბილისი, საქართველო), წარმოდგენილი **სახელი გვარი** (პ/ნ 00000000000) სახით და

მეორე მხრივ, -------- (ს/ნ --------, მისამართი: ----------) (შემდგომში **„კლიენტი“/„მსესხებელი“**) მხარეთა შორის **20-- წლის -- ----** საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებისა **№--** (შემდგომში **„ძირითადი ხელშეკრულება“**) და **20-- წლის -- -----** საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების **№--** (შემდგომში **„საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება“**) საფუძველზე ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულების საგანია ბანკის მიერ მსესხებლისათვის სასყიდლიანი საბანკო კრედიტის (შემდგომში „კრედიტი“) მიცემა სესხის ფორმით.

1.2. კრედიტის ძირითადი პირობები განისაზღვრება ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით.

3. კრედიტის ძირითადი პირობები

3.1. ძირითადი ხელშეკრულება: **20-- წლის -- ---** საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება **№--**

3.2. საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება: **20-- წლის -- ----** საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება **№--**

3.3. კრედიტის თანხა: -------- (--------) **ევრო**

3.4. კრედიტის ვადა: --------

3.5. კრედიტის დასაფარად ყოველთვიური შენატანების ოდენობა, შენატანების საერთო რაოდენობა და შენატანების განხორციელების მაქსიმალური ვადა: თანდართული გრაფიკის მიხედვით (დანართი №1).

3.6. კრედიტის წლიური საპროცენტო სარგებლის განაკვეთი: **-- (--) % (--%**-ს **დამატებული** ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის განსაზღვრული **EURIBOR-ის (European Interbank Offered Rate) 6 (ექვს) თვიანი** განაკვეთი). კრედიტის წლიური საპროცენტო სარგებლის განაკვეთი შეიცვლება (შემცირდება ან გაიზრდება) თვეში ერთხელ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შეიცვლება EURIBOR-ის 6 (ექვს) თვიანი განაკვეთი. შეცვლილი განაკვეთის დარიცხვა განხორციელდება ცალმხრივად ყოველი კალენდარული თვის პირველი რიცხვიდან წინა თვის 28 რიცხვში დადგენილი EURIBOR-ის 6 (ექვს) თვიანი განაკვეთის გათვალისწინებით. ბანკი უფლებამოსილია აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს კლიენტს.

EURIBOR-ის განაკვეთის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ ვებ-გვერდზე: https://www.euribor-rates.eu/

4. სხვა პირობები

3.1. ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების 2.1. და 2.2. პუნქტში მითითებული ბანკსა და მსესხებელს შორის დადებული ძირითადი ხელშეკრულებისა და საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ხელშეკრულებაზე სრულად ვრცელდება ძირითადი ხელშეკრულებისა და საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების მოქმედება. ყველა საკითხი, რაც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, წესრიგდება ძირითადი ხელშეკრულებითა და საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით ამ ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა განსაზღვრულია ძირითადი ხელშეკრულებითა და საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით.

3.2. ეს ხელშეკრულება ძალაში შევა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და იმოქმედებს ბანკის წინაშე მსესხებლის ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

3.3. ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ბანკს, ერთი გადაეცა კლიენტს.

ინფორმაცია მხარეთა შესახებ:

ბანკი	**კლიენტი**
სს „ხალიკ ბანკი საქართველო“	----------
ს/კ 205236537	ს/ნ ----------
საქართველო, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №74	მისამართი: ----------
ტელ: (+995 32) 2 24 07 07	ელ.ფოსტის მისამართი: ----------
	ტელ: ----------
_____	_____